საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა "17" 09 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1243/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის დაბაზე

2012 წლის 30 აპრილს N 67180/03 განცხადებით „სპირიტს პროდაქტ ინტერნაციონალ ინტელექტუალ პროპერტი ბ.ვ."-ს წარმომადგენელმა დავით ზურაბიშვილმა (მის:7, რიუ ნიკოლას ბოვე, 1253 ლუქსემბურგი) მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „GRADUS ICE" (რეგ. N 24023) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „GRADUS ICE" (რეგ. N 24023) „საქპატენტში" რეგისტრირებულია 17.09.2013 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 17.09.2023 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 33-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „GRADUS ICE" (რეგ. N 24023) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით (მოთხოვნის რეგისტრაციის N 357), მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 17.09.2013).

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252296
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს გრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საპატენტთან არსებულ საპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, საბჭედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი ეკატერინე ეგუტია

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; სპირიტს პროდაქტ ინტერნაციონალ ინტელექტუალ პროპერტი ბ.ვ. წარმომადგენელს დავით ზურაბიშვილს (მის:ზურაბიშვილი დავით, ნაფარეულის ქ.18, ბ.7, 0179, თბილისი)

ასლის დედანთან სწორია
17 09 2013 წ.